პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

,,მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა მე-9 კლასში“.

სსიპ სორმონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის მარიეტა შალამბერიძის კვლევის ანგარიში

2018-2019წ.

შესავალი .....გვ 4
თავი I - საკვლევი საკითხის მიმოხილვა .....გვ 5
2.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ .....გვ 6
2.2 საკვლევი თემის აქტუალურობა.....გვ 6
2.3 პრობლემის ანალიზი .....გვ 8
2.4 კვლევის მიზანი .....გვ 9

თავი II – ლიტერატურის მიმოხილვა .....გვ 10

თავი III. მეთოდოლოგია და საკვლევი კითხვები .....გვ 17

3.1. საკვლევი კითხვები: მთავარი შეკითხვა .....გვ 17

3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფები .....გვ 19

3.3. კვლევის განრიგი/ვადები .....გვ 19

3.4 სამიზნე ჯგუფები ..... გვ 20

3.5კვლევის განრიგი/ვადები ..... გვ 21

თავი IV. კვლევის შედეგები

4.1 სტატისტიკური მონაცემები .....გვ 24

4.2 მონაცემთა ანალიზი .....გვ 32

4.3 ინტერვიუ დირექტორთან .....გვ 32

თავი V. ინტერვენციების აღწერა და მისი შედეგი

5.1 ინტერვენციების მიზანი გვ33

5.2 ინტერვენციები გვ33

5.3 ინტერვენციების შეფასება და შედეგები გვ38

თავი VI. რეკომენდაციები და კვლევის შედეგები

6.1 რეკომენდაციები გვ38

6.2 კვლევის შედეგები გვ40

თავი VII. დასკვნა

7.1 დასკვნა გვ41

ბიბლიოგრაფია გვ42

დანართი .....გვ 44

შესავალი

განათლება - პროცესია, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება თაობიდან თაობაში გადასცემს თავის კულტურულ მემკვიდრეობას - დაგროვებულ ღირებულებას, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ,,მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება.“(იაკობ გოგებაშვილი).

21-ე საუკუნის მოსწავლე უნდა ფლობდეს განსხვავებულ უნარ-ჩვევებს, რადგან ეს არის საუკუნე სიახლეების, გამოწვევების, ინოვაციების. ამიტომ მოსწავლე სკოლაში მიღებული ცოდნის გარდა უნდა ფლობდეს შემოქმედებით უნარს, ანალიტიკურ აზროვნებას, ტრანსფერის უნარს. შეძლოს მოკლე დროში პრობლემის იდენტიფიცირება და გამოსავლის პოვნა. ისინი უნდა იყვნენ გლობალური აზროვნებითა და კულტურული ცნობიერებით აღსავსე, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების დამცველი. უნდა შეძლოს საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება. ასევე იყოს ინოვატორი, რადგან შემოქმედებითი აზროვნება მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს. აღიზარდოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

21-ე საუკუნის წარმატებული მოსწავლე უნდა ფლობდეს სწავლებისა და სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი აქტუალურია ამ საუკუნეში.

მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალოდ დამახსოვრება-დაზეპირებას, კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან ერთად უნდა მოახერხოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. სასწავლო გეგმის მიხედვითაც ძირითადი აქცენტი მიმართული უნდა იყოს კომუნიკაციური, სააზროვნო, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რაც ნაკლებად გამოსდით ჩემს მოსწავლეებს. პრობლემა არის ის, რომ მოსწავლეებს უჭირთ მიღებული ცოდნის შენარჩუნება და ცოდნის აქტიური გამოყენება. უჭირთ მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი დავალებების შესრულება, პრობლემის ანალიზი, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და ალტერნატიული გზებით

პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა და დასკვნების გაკეთება. აღნიშნული კვლევა სსიპ სოფელ სორმონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის მარიეტა შალამბერიძის ნაშრომს: ,, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა მე-9 კლასში“.

ჩემს კლასში დავინახე პრობლემა მაღალი სააზროვნო უნარების ფლობა. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ადვილად ფლობენ დაბალ სააზროვნო უნარებს, ხოლო მაღალი სააზროვნო უნარები, როგორიცაა ანალიზი, სინთეზი და შეფასება საკმაოდ უჭირთ. ნაშრომი შედგება 7 თავისაგან:

I თავი ეხება საკვლევი საკითხის მიმოხილვას.

I I თავი ეხება ლიტერატურის მიმოხილვას.

III თავში განხილულია მეთოდოლოგია და საკვლევი კითხვები

IV თავი ეხება კვლევის შედეგებს

V თავში მოცემულია ინტერვენციების აღწერა და მისი შედეგი VI თავში აღწერილია რეკომენდაციები და კვლევის შედეგები.

VII თავში არის დასკვნა.

თავი ეხება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მეთოდებს; კვლევის ანგარიშს თან ახლავს ბიბლიოგრაფია და დანართები.

თავი I - საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ სორმონის საჯარო სკოლაში ირიცხება 35 მოსწავლე. სკოლაში მომუშავე 16 პედაგოგიდან უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს 11 მასწავლებელს. აქედან 1 წამყვანია, 4-მა წელს წარმატებით გაიარა გარე დაკვირვება, დაარჩენი კი

აქტიურადაა ჩართული კარიერული წინსვლისთვის. პედაგოგებო გამუდმებით ვზრუნავთ პროფესიონალურ განვითარებაზე, გავდივართ ტრენინგებს, ვკითხულობთ შესაბამის ლიტერატურასა და სხვადასხვა ნაშრომებს. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ვნერგავთ სწავლის პროცესში.

1.2. საკვლევი თემის აქტუალობა

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა გამომდინარეობს კლასის საჭიროებიდან. ვფიქრობ, რომ 21-ე საუკუნეში საკმაოდ აქტუალური საკითხია სწავლა-სწავლების პროცესში, რადგან მარტო ინფორმაციის დამახსოვრება და ცოდნის მიღება არ არის საკმარისი, მნიშვნელოვანია შეგეძლოს ინფორმაციის დახარისხება, მნიშვნელოვანის გამორჩევა, გაანალიზება, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. მნიშვნელოვანია სწავლებისას გავააქტიუროთ მაღალი სააზროვნო უნარები, რადგან ის ზრდის ინტელექტუალურ დამოუკიდებლობას, ამ დროს მოსწავლეს შეუძლია ქმედება და არ ფლობს მხოლოდ ფაქტობრივ ინფორმაციას, სწავლობს გააზრებულად, ხდება დამოუკიდბლად მოაზროვნე.

ჩემი საკვლევი თემის აქტუალურობას განაპირობებს ისიც, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის უმთავრეს მიზანს დღეს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება წარმოადგენს. საბაზო საფეხურზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე. სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლე ავლენს მიდრეკილებას ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზროვნებისადმი. აქედან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას,

თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება:

- სხვადასხვა სახის ტექსტების მოსმენა და აღქმა;
- ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება და ამ ლოგიკური კავშირების ამსახველი სინტაქსურ-სტილისტური ხერხების სათანადოდ გამოყენება;
- სხვადასხვა სახის (როგორც ლიტერატურული, ისე სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, საქმიანი და სხვ.), სტილისა და ჟანრის ტექსტების თავისუფლად გაგება, მათი ენობრივი ანალიზი და სინთეზი;
- ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება;
- სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა სახის (ლიტერატურული, სამეცნიეროპოპულარული, პუბლიცისტური, საქმიანი და სხვ.) ტექსტების გამართულად წერა განსხვავებულ თემებზე; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის ცოდნა და ამ ცოდნის შეგნებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად. (ესგ) ამრიგად ეროვნული სასწავლო გეგმიდანაც იკვეთება , რომ ამ საფეხურზე მოსწავლეები აუცილებლად უნდა ფლობდნენ ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარებს, ეს კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩემი კვლევის აქტუალურობას.

ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს მე-9 კლასი, იმისათვის, რომ დამედგინა თუ რატომ იყო ეს საკითხი მეტად პრობლემური ამ კლასში, გადავწყვიტე ამისათვის მეწარმოებინა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, გამომეკვეთა პრობლემა და დამესახა ინტერვენციები. ჩემი კვლევის ატუალურობას ასაბუთებს ისიც, რომ ეს პრობლემა დგას

არა მხოლოდ აღნიშნულ კლასსა და სკოლაში, არამედ დღეს ზოგადად საბაზო საფეხურის მოსწავლეებში. მათ უჭირთ მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენება, რაც ვფიქრობ, დიდ პრობლემას წარმოადგენს 21-ე საუკუნეში, მაშინ როდესაც ამ ეპოქაში მოსწავლეს მოეთხოვება ისეთი უნარების ფლობა, როგორიც არის კრიტიკული, შემოქმედებითი, ანალიტიკური და თანამშრომლობითი უნარები. დღესდღეობით სწორედ ეს უნარები განაპირობებს მოსწავლეების წინსვლასა და წარმატებას.

1.3. პრობლემის ანლიზი

ჩემი დაკვირვებებიდან გამომდინარე ვლინდება, რომ მოსწავლეებს აშკარად უჭირთ, მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი დავალებების შესრულება, პრობლემის ანალიზი, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და ალტერნატიული გზებით პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა და დასკვნების გაკეთება. მეცხრე კლასში გარკვეულ საკითხებზე მუშაობისას იკვეთება აღნიშნული პრობლემა, რომლიც წარმოადგენს ჩემი კვლევის თემას. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლეები მე-9 კლასში ადვილად ფლობენ დაბალ სააზროვნო უნარებს, ხოლო მაღალი სააზროვნო უნარები, როგორიცაა ანალიზი, სინთეზი და შეფასება საკმაოდ უჭირთ. როდესაც ვსვამ ტექსტზე ორიენტირებულ ან ფაქტობრივ კითხვებს, მაგალითად, ,,დიდი იოსებიდან“ ვინ არის იოსები? სადაურია? რომელ ისტორიულ ფაქტს აღწერს ავტორი? მოსწავლეები მარტივად პასუხობენ, რადგან დასმულ კითხვებზე პასუხის პოვნა შესაძლებელია ტექსტში. ხოლო, როცა საქმე ეხება მაღალ სააზროვნო უნარებს მაგალითად, თქვენი აზრით, რატომ არ მოსწონს დიდ იოსებს თავისი ახალი ხელობა? რატომ არ იყო ის თავისი ბედის კმაყოფილი ადრე და რატომ თვლის თავს უბედურად ახლა? ხშირია მსგავსი ტიპის პრობლემები სხვადასხვა თემაზე მუშაობისას. ვაკვირდები სასწავლო პროცესს და ვხედავ, რომ მოსწავლეებს უჭირთ არგუმენტებისა და კონტრაგუმენტების მოყვანა, დისკუსიები. უჭირთ საინფორმაციო ტექსტებში ასახული ფაქტების მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა და არგუმენტირება, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება. უფრო

კარგად გამოსდით ფაქტების, ლექსიკური ერთეულების გამოყენება, მაგრამ როდესაც ვთხოვ ეს ყველაფერი უფრო მაღალ სააზროვნო უნარებში გადაიტანონ, აქ უკვე ვაწყდებით გარკვეული სახის პრობლემებს.

დღეს 21-ე საუკუნეა, საჭირო უნარებს შორის სასიციცხლოდ აუცილებელია კრიტიკული აზროვნება, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირება და შემოქმედებითობა ანუ კრეატიულობა, რადგან ამ უნარების გარეშე შესაძლოა მომავალში ცხოვრებაც კი გაუჭირდეს სხვადასხვა მიზეზით შექმნილი ურთულესი პირობების გამო.

დაკვირვებებმა საბოლოოდ დამანახა არსებული პრობლემა და გადამაწყვეტინა გამეანალიზებინა ამ პრობლემის არსი, მეფიქრა მის გამომწვევ მიზეზებზე, განმეხორციელებინა და შემეფასებინა კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზები, თუ რა გააუმჯობესებდა არსებულ მგომარეობას და როგორ შეძლებდნენ მოსწავლეები მაღალი სააზროვნო უნარების აქტივაციას.

1.4 კვლევის მიზანი:

მოცემული კვლევის მიზანია, დადგინდეს პრობლემის გამომწვევი მიზეზები ქართულ ენასა და ლიტერატურაში თუ რა უშლით ხელს საბაზო საფეხურის მოსწავლეებს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში. დაიგეგმოს, განხორციელდეს ინტერვენციები და შეფასდეს თუ რა უნდა გავაკეთდეს მოცემულ შემთხვევაში.

ჩემთვის მნიშვნელოვანია გავაანალიზო ის, თუ როგორ ხდება მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების დაუფლება, რომელიც მაღალ სააზროვნო უნარებს მოიცავს. რამდენად ხშირად იყენებს მასწავლებელი მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილ აქტივობებს სასწავლო პროცესში და გეგმავს თუ არა ამ უნარებზე გათვლილ გაკვეთილებს. მიზნად დავისახე,, რომ ავუმაღლო

მოსწავლეებს მოტივაცია, დავანახო და და დავაფიქრო მოცემული საჭიროების უპირატესობაზე.

თავი I I - ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის პროცესში წავიკითხე ესგ, გავეცანი ანალოგიური ტიპის კვლევებს, ბეჭდურ თუ ელექტრონულ ვერსიებს. წარმოგიდგენთ მათ ანალიზს:

ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნათლად ვკითხულობთ, რომ პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი.

საბაზო საფეხურზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე. სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლე ავლენს მიდრეკილებას ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზროვნებისადმი. აქედან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს პრობლემას (პრობლემებს), განსხვავებულ თვალსაზრისებს და მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება: სხვადასხვა სახის ტექსტების მოსმენა და აღქმა;

ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება და ამ ლოგიკური კავშირების ამსახველი სინტაქსურ-სტილისტური ხერხების სათანადოდ გამოყენება;

სხვადასხვა სახის (როგორც ლიტერატურული, ისე სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, საქმიანი და სხვ.), სტილისა და ჟანრის ტექსტების თავისუფლად გაგება, მათი ენობრივი ანალიზი და სინთეზი;

ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირის გააზრება;

სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა სახის (ლიტერატურული, სამეცნიეროპოპულარული, პუბლიცისტური, საქმიანი და სხვ.) ტექსტების გამართულად წერა განსხვავებულ თემებზე; გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის ცოდნა და ამ ცოდნის შეგნებულად გამოყენება ტექსტის ასაგებად და დასახვეწად.

ენის კომუნიკაციური ასპექტების გაგება-გამოყენება:

საკუთარი კომუნიკაციური ქცევის ადეკვატურად შეფასება და სათანადოდ წარმართვა;

იმ უნარ-ჩვევებისა და სტრატეგიების დაუფლება, რომლებიც მიღებულია მოცემულ კულტურულ გარემოში კამათის, დისკუსიის, დებატებისა და საკუთარი აზრის გამოთქმისას;

ტექსტის წასაკითხად, დასამუშავებლად და გასაანალიზებლად აუცილებელი კითხვის სტრატეგიების დაუფლება;

სხვადასხვა ხასიათის ზეპირი და წერილობითი ტექსტების საკომუნიკაციო მიზნის ამოცნობა და ამ კუთხით ტექსტის ეფექტურობის შეფასება;

საკომუნიკაციო მიზნის გათვალისწინებით, ფუნქციური სტილის მართებულად შერჩევა წერის დროს; საკუთარი ნაწერის რედაქტირება და კორექტირება.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

მხატვრულ ტექსტში გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ეფექტურობის შეფასება;

ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული მოვლენებისა და პრობლემების დაკავშირება სუბიექტურ გამოცდილებასთან;

სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოკვეთილი პრობლემატიკის ერთმანეთთან დაკავშირება, შედარება და შეპირისპირება;

ნაწარმოებში არსებული პრობლემური საკითხების მრავალმხრივი და არასტერეოტიპული ინტერპრეტაცია;

სოციოკულტურული კონტექსტის გავლენის აღქმა-გააზრება ლიტერატურულ ნაწარმოებებში;

ლიტერატურის მნიშვნელობის გააზრება ადამიანის შემეცნებითი, შემოქმედებითი და ეთიკური განვითარებისათვის;

შეთხზვა წერილობითი ტექსტებისა, რომლებშიც მჟღავნდება მოსწავლის ლიტერატურული გემოვნება, შემეცნებითი ინტერესები, შემოქმედებითი უნარები.(ესგ. გვ. 54)

სააზროვნო უნარების განვითარების სტრატეგიები. დ. პერკინსკის ეფექტური სწავლების პრინციპები.

გავეცანი დ. პერკინსკის სწავლებისა და სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას და ითვალისწინებს, რომ საჭიროა ნასწავლის კარგად გაგებაგააზრება და შემდეგ მისი გამოყენება. პერკინსკის აზრით, ,,აზროვნება კი არ მოსდევს ცოდნას, არამედ ცოდნა მოსდევს აზროვნებას. პერკინსკის თეორიით სწავლება ხელს უწყობს დიდაქტიკური, სოკრატული, პრაქტიკული და სოციალური/თანამშრომლობითი მეთოდები.

პერკინსი თვლის, რომ აზროვნება მაშინ არის შედეგიანი თუ ვმართავთ საკუთარი აზროვნების პროცესს, რაც ერთგვარად ჰგავს პიროვნული აზროვნების შესწავლას. აზროვნება მოსწავლისაგან მოითხოვს პრობლემის სირთულის დადგენას და შემდეგ ცდილობს დაძლევის ხერხების შემუშავებას.

მოსწავლე უნდა დაფიქრდეს რას აკეთებს, როგორ აკეთებს და რა შედეგს მოუტანს ესა თუ ის მოქმედება. ამ კითხვებზე დაფიქრება მოსწავლეს საშუალებას მისცემს

თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სააზროვნო მოქმედებების შესასრულებლად. მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას ხელს უწყობს მარტივიდან რთულისაკენ სააზროვნო დონეების მიხედვით დასმული კითხვები, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, დისკუსიები, როლური თამაშები მოსწავლეს საშუალებას აძლევს დააკვირდნენ საკუთარი აზროვნების პროცესს, გააცნობიერონ და გააკონტროლონ ის. აგრეთვე მასწავლებელებელმა უნდა შექმნას აზროვნებისთვის ხელსაყრელი გარემო და წაახალისოს მოსწავლეები. უნდა დაეხმაროს მათ თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს მათი სწავლების პროცესს და ურჩიოს როგორ გააუმჯობესონ შედეგები. ამისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მოსწავლეებს მიცსეს უკუკავშირი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს პოზიტიურ კონტექსტში გაიაზრონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. აგრეთვე მასწავლებელმა უნდა უბიძგოს მოსწავლეებს უკუკავშირის მიღების შემდეგ დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაოს და შეიტანონ ცვლილებები, რაც შესაძლებლობას მისცემს გადაამოწმონ სწავლების სტრატეგიების გამოყენების ადეკვატურობა და აზროვნების პროცესი. (,,აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ“ 11 ოქტომბერი 2013წ. თეო ჭყოიძე)

კოგნიტური დიაგრამები, ანუ გრაფიკული ორგანიზატორები ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფოემაციის აღქმაში ეხმარება.მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. სწავლების პროცესში კოგნიტური დიაგრამების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პედაგოგის როლი და ფუნქცია, გაუადვილა მასწავლებლებს სტრუქტურირებული, საქმიანი გაკვეთილების დაგეგმვა, ხელთ მისცა აკადემიური პროგრესის და უნარ-ჩვევების გამომუშავების კონტროლისა და შეფასების საკმაოდ

მოქნილი ტექნიკა, სწავლებისა და სწავლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი გახადა. კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე:

- ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას;
- ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას;
- შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას;
- ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას;
- სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას. ვფიქრობ, მოცემული ინფორმაცია დამეხმარება, რომ სწავლა-სწავლების პროცესი უკეთ დავგეგმო.

ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება სასწავლო დისციპლინაში დაეხმარება მოსწავლეებს აზროვნების აქტივაციაში. ბლუმის მიხედვით, აზროვნების უნარი ექვს დონედ იყოფა: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. პირველი სამი აზროვნების ქვედა დონეებში მოიაზრება, ანალიზი, სინთაზი და შეფასება- ზედა დონეებში.

გავეცანი სახელმძღვანელოს ,,როგორ ვასწავლო მოსწავლეებს აზროვნება“, რომელშიც საინტერესოდ არის ახსნილი აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევების მოქმედების მეთოდიკა. მასში საუბარია, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდის მიზნით ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან აზროვნების ზედა დონის (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) დავალებების დროს (ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, 2007), რადგან მასწავლებლები მიჩვეულნი არიან ცოდნა, გაგება და გამოყენების დონეებზე სწავლებას. მასწავლებლებს ნაკლები გამოცდილება აქვთ აზროვნების ზედა დონეების აქტივაციასა და აზროვნების პროცესის წარმართვაში.

მაშინ, როდესაც დავალება მოსწავლისგან მოითხოვს ანალიზის გაკეთებას, ხშირად იგი ამას ვერ ახერხებს, რადგან ანალიზის ნაცვლად აღწერაზე გადადის. რაც შეეხება სინთეზის დონეს ხშირად ჩაენაცვლება გამოყენება. მოსწავლისთვის მიცემული მოკლე ინსტრუქცია ,,დაწერე მხატვრული ტექსტის ანალიზი“

თავისთავად არ იწვევს მოსწავლის შემოქმედებითი პოტენციალის ამოქმედებას. იგი ცდილობს ნიმუშის მოძებნას და იმის მიხედვით დავალების შესრულებას. შეფასების დონე ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ ემოციური გამოკიდებულების გამოხატვით, არ ხდება კრიტერიუმების გამოყოფა ან შემუშავება, რის მიხედვითაც უნდა შეაფასონ მოსწავლეებმა გარკვეული ობიექტი. ასევე არ ხდება ამ კრიტერიუმების მნიშვნელოვანებაზე და ღირებულებაზე მსჯელობა და არც ობიექტის კრიტერიუმთან შესაბამისობის დადგენა ანალიზის მეშვეობით. ამიტომ აზროვნების ზედა დონეების (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) ასამოქმედებლად სასურველია გამოვიყენოთ სპეციალური მეთოდიკები. ერთ-ერთი მეთოდიკაა მასწავლებლის მიერ დამაზუსტებელი შეკითხვების დასმა, რომლებიც მოსწავლეს სწორი მიმართულებით წაიყვანს. ამის გაკეთება განსაკუთრებით მაშინაა საჭირო, როდესაც მოსწავლეს ეძლევა რთული დავალება და იგი ვერ ახერხებს მის გადაჭრას დამოუკიდებლად. მასწავლებელმა ამ დროს უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ცოდნის დონე და ამოცანის ტიპი და ამის მიხედვით შეარჩიოს დამაზუსტებელი შეკითხვები, რომლებიც იერარქიით უფრო ქვედა დონეებზე გადის. შესაძლებელია, რომ მასწავლებელი შეფასების დონიდან სულ ქვედა - ცოდნის დონეზე ჩამოვიდეს და მერე ნაბიჯ-ნაბიჯ ავიდეს ზემოთ ყველა დონეების გავლით ან თავიდანვე მხოლოდ ერთი ნაბიჯით ჩამოინაცვლოს ქვემოთ (მაგალითად, სინთეზის დონეზე); გარდა ამისა, როდესაც მოცემული დავალება რთულია, მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა ასწავლოს ამოცანის ქვე-ამოცანებად დაყოფა (შეიძლება ყველა ქვეამოცანა იყოს იგივე სააზროვნო დონის, რაც ძირითადი დავალება-ამოცანა). საუკეთესო მაგალითია, სინთეზის დონეზე განხორციელებული დავალებები. მხატვრული ნამუშევრის თემის შერჩევა, მხატვრული ხერხის შერჩევა, ნამუშევარში აქცენტების დასმა, სამივე, სინთეზის დონეს მოითხოვს. ამ შემთხვევაში არ ხდება დონეების მონაცვლეობა. ამოცანის ადვილად მართვად ელემენტებად დანაწევრება ეხმარება მოსწავლეს ერთი შეხედვით რთული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში. მასწავლებელი ამ პროცესში ეხმარება მოსწავლეს შესაბამისი შეკითხვების დასმით.

ამრიგად, მასწავლებლის მიერ სწორად შერჩეულმა შეკითხვებმა შეიძლება მოსწავლეს თავის არიდების საშუალება აღარ მისცეს და ხელი შეუწყოს მისი აზროვნების აქტივაციას. სწორედ დამაზუსტებელი შეკითხვების გამოყენებით არის შესაძლებელი მოსწავლეებისათვის აზროვნების სწავლება.(საქარტველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გავეცანი სტატია (XXI საუკუნის უნარები, 15 აგვისტო, დავით ბოლქვაძე), რომელშის ავტორი საუბრობს, რომ საჭირო უნარებს შორის სასიცოცხლოდ აუცილებლად შეიძლება მივიჩნიოთ კრიტიკული აზროვნება, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირება და შემოქმედებითობა ანუ კრეატიულობა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ამ უნარზე და თვლის, რომ ამ უნარის გარეშე ცხოვრებაც შეიძლება გართულდეს სხვადასხვა მიზეზით შექმნილი ურთულესი პირობების გამო. ცხადია, ეს უნარები სულაც არ არის ახალი, ათასწლეულების განმავლობაში მთელი კაცობრიობის პროგრესს სწორედ ისინი განაპირობებდნენ. ამ უნარების მქონე ადამიანების დამსახურებაა ყველა გამოგონება, მარტივი ხელსაწყოებით დაწყებული (რომლებიც თავისი ეპოქისთვის სულაც არ იყო მარტივი), მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მომხდარი უზარმაზარი აღმოჩენებით დამთავრებული.

გავეცანი სოციალურ-კულტურულ თეორიასა და პედაგოგიკას(1 ნოემბერი,2013 მანანა ბოჭორიშვილი), სადაც ვიგოცკი საუბრობს, რომ ბავშვის განვითარებაში სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მისი შეხედულებით, ბავშვების აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ისინი იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შეძენასაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ.

გავეცანი გზამკვლევის მეორე ნაწილს,რომელშიც ნათლად არის აღწერილი კვლევის სტრუქტურა .თუ რა განსხვავებაა ტრადიციულ საგანმანათლებლო და პედაგოგიურ პრაქტიკის კვლევებს შორის და რა ეტაპებისგან შედგება ის. მასში კარგად არის მოცემული კვლევების/ლიტერატურული შესწავლა ,კვლევის

მეთოდის შერჩევა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. გზამკვლევში მოცემულია ასევე როგორ გავაანალიზოთ კვლევის თვისობრივი მეთოდების შედეგად მიღებული მონაცემები და ასევე რაოდენობრივი კვლევები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც ზეპირი ინტერვიუ, ისე წერილობითი გამოკითხვა, ანუ ანკეტირება. სახელმძღვანელოში კარგად არის ნაჩვენები ის თუ როგორ ვაწარმოოთ კვლევის დღიური, შევისწავლოთ ლიტერატურა,შევარჩიოთ კვლევის მეთოდები, მოვახდინოთ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. მასში კარგად არის წარმოდგენილი კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები და როგორ უნდა განახორციელოს მასწავლებელმა თითოეული. როგორ უნდა გავაფარომოთ კვლევის ანგარიში და ბოლოს ნაჩვენებია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შეფასების რუბრიკა. აღნიშნული სახელმძღვანელო ძალან დამეხმარა სწორად დამეგეგმა და განმეხორციელებინა ჩემი კვლევა.

III თავი- მეთოდოლოგია

3.1 პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მეთოდები.

კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად კვლევაში გამოიყენე თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები.

კვლევის თვისობრივ მეთოდებში შედის დაკვირვება. დაკვირვება ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და გავრცელებული მეთოდია პედაგოგიური პრაქტიკის შესასწავლად. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება საკვლევი ობიექტის, პროცესის ან მოვლენის ორგანიზებული აღქმა ბუნებრივ პირობებში. კვლევის ეს მეთოდი დამეხმარა დამენახა პრობლემა მე-9 კლასში, მათ უჭირდათ მაღალი სააზროვნო უნარების ფლობა და გამოყენება.

დაკვირვების სამ ეტაპს გამოყოფენ : აღწერითს, ფოკუსირებულსა და შერჩევითს. კვლევის საწყის ეტაპზე გამოვიყენე აღწერითი დაკვირვება, რომელიც დამეხმარა საკითხის ფოკუსირებაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაკვირვების ეს ეტაპი ზედაპირულობით ხასიათდება. დაკვირვების მეორე ეტაპზე გამოვიყენე ფოკუსირებული დაკვირვება, რომლის დროსაც გამოიკვეთა კვლევის კონკრეტული ელემენტები, ანუ ის თუ რამდენად აქვთ მოსწავლეებს განვითრებული მაღალი სააზროვნო უნარები ქართულ ენასა და ლიტერატურაში და რამდენად სწორად იყენებენ მას. ჩემი კვლევის მიზანიც ამ უნარებზე დაკვირევაბაა. კვლევის ბოლო ეტაპზე გამოვიყენე შერჩევითი დაკვირვება, კონკრეტულად დიკუსისაზე მუშაობისას იყენებდნენ თუ არა მოსწავლეები შემოქმედებით, კრიტიკულ და თანამშრომლობით უნარებს.

დაკვირვების წარმათვის დროს თავდაპირველად ჩავინიშნე თემა, რომელზეც უნდა მეწარმოებინა კვლევა; გამოვყავი დაკვირვების ობიექტი; ჩამოვაყალიბე დაკვირვების მიზანი და განვსაზღვრე მოლოდინები; განსაზღვრე კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შევაფასებდი დაკვირვების ობიექტს, შევიმუშავე დაკვირვების ოქმები; ჩამოვწერე რას, როდის, რა ხანგრძლივობით და ინტენსივობით დავაკვირდებოდი და შედეგები ჩავიწერე, ბოლოს კი მიღებული შედეგები გავაანალიზე.

კვლევის წარმოებისას გამოვიყენე ასევე ინტერვიუ, დიალოგის თანამედროვე ფორმა, რომელიც პედაგოგიკაში სოციოლოგიიდან შემოვიდა. ეს მეთოდი გამოირჩევა თავისი მიზანმიმართულებით, ჩანს პიროვნების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი, სწორედ ამიტომ ვაწარმოე ინტერვიუ მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, რომ გამეგო მათი აზრი არსებული პრობლემის შესახებ.

3.2 კვლევის რაოდენობრივი მეთოდი

რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენე ანკეტირება, რომელიც არის ინტერვიუს სტრუქტურირებული (ფორმალიზებული) სახე. ანკეტირების კითხვარები გამოვიყენე მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. ანკეტირება ჩატარდა

ყველა ეთიკური ნორმების დაცვით. ის ჩატარადა ანონიმურად, არ იყო საჭირო სახლისა და გვარის მითითება.

3.3 საკვლევი კითხვები:

მთავარი შეკითხვა: იყენებენ თუ არა მოსწავლეები მაღალ სააზროვნო უნარებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში?

ქვეკითხვები:

1. რამდენად ხშირად იყენებს მასწავლებებლი მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილ აქტივობებს სასწავლო პროცესში?
2. ითვალისწინებს თუ არა მოსწავლეების შესაძლებლობებს გაკვეთილის დაგეგმვისას?
3. გეგმავს თუ არა გაკვეთილბს ესგ-ს მიხედვით?
4. იყენებს თუ არა მასწავლებელი საგანამანათლებლო პროცესში სხვადასხვა ტიპის შეკითხვებს,მაგალითად პრობლემური ტიპის კითხვებს? ჰიპოთეთურ, დამაზუსტებელ, შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებს.
5. რა მეთოდებს იყენებს მასწავლებელი მაღალი სააზროვნო უნარების გასააქტიურებლად?

3.4 სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს მოსწავლეები, მათი მშობლები, პედაგოგები და დირექცია. მოსწავლეები :

სამიზნე ჯგუფში შედის 5 მოსწავლე, 2 ვაჟი და 3 გოგონა, კვლევის სამიზნე ჯგუფად ავირჩიე მოსწავლეები რომ მათგან მიმეღი საჭირო ინფორმაცია, რომელიც დამეხმარებოდა აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრაში და მათი დახმარებით შემემუშავებინა კონკრეტული აქტივობები და მეთოდები, რომელეთა დახმარებითაც განვავითარებდი მაღალ სააზროვნო უნარებს. მშობლები:

კვლევის სამიზნე ჯგუფად ასევე ავარჩიე მშობლები, რადგან ისინი კარგად იცნობენ თავიანთ შვილებს, იციან მათი შესაძლებლობები და მათგან მიღებული ინფორმაცია დამეხმარება იმაში, რომ ქართული ენის სწავლა-სწავლების პროცესი გამეხადა მათთვის სახალისო და ეფექტური. პედაგოგები:

კვლევის შემდეგ სამიზნე ჯგუფში შედის 15 პედაგოგი. მინდოდა გამეგო ჰქონდათ თუ არა მათაც ანალოგიური პრობლემა და რა საშულებებს მიმართავდნენ ამ პრობლემის მოსაგვრაბელად. ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა მათი რჩევები და გამოცდილების გაზიარება. დირექცია:

მათი თანადგომა და ხედვა აღნიშნული საკითხის მიმართ დამეხმარება კვლევის პროცესის სწორად წარმართვაში.

3.5კვლევის განრიგი/ვადები

N	აქტივობა										

1	პრობლემის იდენტიფიცირება		•								
2	საკვლევი თემის შერჩევა		•								
3	ლიტერატურის გაცნობა			•	•	•	•	•			
4	საკვლევი თემის აქტუალურობა		•	•							
5	ფოკუს ჯგუფების შექმნა			•	•						
6	კითხვარების შედგენა მოსწავლეებისთვის			•							
7	კითხვარების შედგენა მასწავლებლებისთვის			•							
8	კითხვარების შედგენა			•							

	მშობლებისთვის										
9	ინტერვიუ დირექტორებთან			•							
10	სტატისტიკური მონაცემების ანალიზი				•						
11	ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება					•	•	•	•		
12	ინტერვენციების შეფასება და შედეგები									•	
13	პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშის მომზადება									•	
14	კოლეგებთან გაზიარება										•

IV. თავი კვლევის შედეგები

4.1 სტატისტიკური მონაცემები

კითხვარი მოსწავლეებისათვის;

1. 1.რა ტიპის დავალებების შესრულება გიადვილდებათ?



აღნიშნული დიაგრამიდან ჩანს რომ მოსწავლეები 40 % ს შეუძლია ტექსტის რედაქტირება, 40 % ს ტექსტის შინაარსის წერა, ხოლო 20 % ს ესეს წერა.

2.ახერხებთ თუ არა დამოუკიდებლად დავალების შესრულებას?



დიაგრამიდან იკვეთება, რომ მოსწავლეების 20% ახერხებს დამოუკიდებლად დავალებისშესრულებას, 20 % არა, ხოლო 60 % ნაწილობრივ.

3.რამდენად ხშირად კითხულობთ კლასგარეშე ლიტერეტურას?



კითხავზე რამდენად ხშირად კითხულობენ კლასგარეშე ლიტერარტურას აღმოჩნდა რომ, 20 % არასოდეს, 40 % ხშირად ,ხოლო 40 % იშვიათად.

4. რა დროს უთმობთ სახლში საშინაო დავალების შესრულებას?



დიაგრამიდან ჩანს რომ მოსწავლეების 60% უთმობს 1 საათზე ნაკლებ დროს საშინაო დავალების შესრულებას. 20 % უთმობს 1 საათს და 20 % 1 საათზე მეტს.

კითხვარი მშობლებისთვის:

1.ეხმარებით თუ არა თქვენს შვილებს დავალების შესრულებისას?



დიაგრამიდან ჩანს, რომ მშობლების 50 % არასოდეს არ ეხმარება დავალების შესრულებისას , 17 % ს ეხმარება , ხოლო 33 % ს იშვიათად.

2. რამდენად ხშირად კითხულობს თქვნი შვილი კლასგარეშე ლიტერატურას?



დიაგრამიდან ჩანს, რომ 40 % კითხულობს ხშიად, 40 % იშვიათად, 20 % არასოდეს.

3. როგორი ტიპის დავალებების შესრულება უფრო უადვილდებათ?



გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების 40 % ს უადვილდება ტესქტის მოკლე შინაარსის წერა, 20 % ს ესე, ხოლო 40 % ს ტექსტის რედაქტირება.

4. რამდენად ხშირად ამოწმებთ თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებებს?



დიაგრამიდან ჩანს, რომ მშობლებსის 20 % არასოდეს არაკონტოლებს შვილების სწავლების პროცეს, 60 % იშვიათდ, 20 % ხშირად.

კითხვარი მასწვლებლებისთვის:

1.ფლობენ თუ არა მოსწავლეები მაღალ სააზროვნო უნარებს თქვნს საგნებში?



დიაგრამიდან ჩანს, რომ მაღალ სააზროვნო უნარებსფლოსბ მხოლოდ კლასის 60 %, 27 % ფლობს ნაწილობრივ და 13% საერთოდ ვერ ფლობს.

2. რთავთ თუ არა მოსწავლეებს სკოლისგარეშე აქტივობებში?



გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების 60 % ხშირად არის ჩართული სკოლის გარეშე აქტივობებში, 13 % არასოდეს, 27 % იშვიათად.

3.რამდენად ხშირად იყენებთ მაღალ სააზროვნო უნარებზე ორიენტირებულ აქტივობებს?



დიაგრამიდან ჩანს, რომ მასწავლებლების 60 % ხშირად იყენებს მაღალ სააზროვნო უნრებზე ორინეტირებულ აქტივობებს. 27 % იშვიათად ხოლო 13 % არასოდეს.

4.რამდენად ხშირად მიმართავთ კოლეგებს რჩევისთვის გაკვეთილის დაგეგმვისას?



დიაგრამიდან ჩანს, რომ 67 % ხშირად მიმართავს კოლეგებს რჩევისათვის, 27 %იშვიათად, ხოლო 6 % არასოდეს.

4.2 მონაცემთა ანალიზი

სტატისტიკური მონაცმების გაცნობის შემდეგ, რომლებიც ზემოთ წარმოდგენილია დიაგრამების სახით დახურულ კითხვებზე დაყრდნობით, გადავწყვიტე მონაცემთა ანლიზი გამეკეთებინა ღია კითხვების გამოყენებით, რომელიც შემდეგნაირად გამოყურება:

მოსწავლეები: (იხ. დანართი 1) მოსწავლეთა ღია კითხავრიდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა წარმატება-წარუმატებლობას განაპირობებს დაბალი მოტივაცია, რომლის მთავარი მიზეზიც მათი აზრით არის ერთფეროვანი გაკვეთილების არსებობა, მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის სახალისოა ისეთი აქტივობების შესრულება, რომლებშიც თვითონ არიან აქტიურად ჩართულნი.

მშობლები: (იხ. დანართი 2) მშობელთა კითხვარიდან გამოიკვეთა, რომ მათ შვილებს სწავლა- სწავლების პროცესში ხელს უშლის დაბალი მოტივაცია, კითხვაზე, თუ რა როლს ასრულებენ თავინათი შვილების მაღალ აკადემიურ მოსწრებებში, უმატესობამ აღნიშნა , რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი თავიანთი შვილების სწავლა-აღზრდის პროცესში. მშობლები პედაგოგებს ურჩევენ, პირველ რიგში დააინტერესონ მოსწავლეები და გაუღვივონ საგნისადმი ინტერესი.

მასწავლებლები: (იხ. დანართი 3) კითხავრიდან ჩანს, რომ მასწავლებლები მაღალი სააზროვნო უნარების განსავითარებლად, იყენებენ პროექტებს, კოგნიტურ დიაგრამებს და ა.შ. დიდი ყურადღებას აქცევენ კოლეგების რჩევებს და გაკვეთილებს ერთობლივად გეგმავენ ესგ-ს მიხედვით მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

4.3ინტერვიუ დირექტორთან: (იხ. დანართი 4)

ინტერვიუში დირექტორმა აღნიშნ,ა რომ მისი სკოლის პედაგოგები იცნობენ სკოლის თანამედროვე მოთხოვნებს და ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მონაწილეობენ ტრენინგებსა და კონფერენციებში. დირექტორმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ოლომპიადებსა და კლასგარეშე აქტივობებში,

ყოველივე ეს კი განაპიროებეს სკოლის წარმატება წარუმატებლობას. კითხვაზე თუ რა რჩევას მომცემდა ის მაღალი სააზროვნო უნარების განსავითარებლად, დირექტორმა მომცა რჩევა, რომ გაკვეთილები დამეგეგმა მრავლფეროვანი მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებით.

თავი V ინტერვენვია

5.1. ინტერვენცის მიზანი

პრობლემის დასაძლევად დავგეგმე ინტერვენციები, რომელთა მიზანი იყო მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება. ამისათვის გამოვიყენე დისკუსიის მეთოდი,რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში განმევითარებინა თანამშრომლობითი, მსჯელობის უნარი. ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განსავითარებლად მოსწავლეებს ვაწერინე თავისუფალი თემა: ,,მოზრდილთა წიგნიერების პრობლემა“. ასევე ჩემი მიზანი იყო ვენის დიაგრამის გამოყენებით მოსწავლეებში ამემაღლებინა ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევები.

შემდეგ ინტერვენციად დავგეგმე ფილმის ჩვენება, რომელიც არის ეფექტური საშუალება საიმისოდ, რათა მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილონ და გაანალიზონ, განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნება. საგანთა ინტეგრაციის საშუალებით კი მოსწავლეები შეძლებენ ცოდნის გამთლიანებასა და შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას-ტრანსფერს.

5.2. ინტერვენციები

N 1 ინტერვენცია

სასწავლო დისკუსია, როგორც ერთობლივი სწავლების მეთოდი, ეხმარება მოსწავლეს უკეთ გაიაზროს შესასწავლი საკითხი, ჩამოაყალიბოს განსხვავებული მოსაზრებები, იმსჯელოს ყველა შესაძლო ვარიანტზე, ახლებურად გაიაზროს მასალა, მას უვითარდება კამათის და საკუთარი აზრის არგუმენტირების, დასაბუთების უნარი და ა.შ.

კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაში ,,დიდი იოსების" განხილვისას გამოვიყენე დისკუსიის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები უფრო ღრმად განიხილავენ შესასწავლ საკითხს. სწავლების ეს მეთოდი ცოდნის შეძენას და გამტკიცებას, მასალის საინტერესოდ დამუშავებას და თავისუფალ მსჯელობას უწყობს ხელს. ავითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს და ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ჩემი მიზანი იყო მოსწავლეებს დისკუსიის მეთოდის გამოყენებით ემსჯელათ დიდი იოსების სულიერ სამყაროზე იმ ფერისცვალების მიხედვით, რომელიც მან განიცადა.

დისკუსიის დაწყებამდე მერხები განვალაგე წრიულად, რომ მათ ადვილად შესძლებოდათ თვალით კონტაქტი. აქტივობის დაწყებამდე კიდევ ერთხელ შევახსენე ქცევის წესები. გავაცანი აქტივობის მიზანი. მუშაობის დროს ვიყავი გეზის მიმცემი, რომ მოსწავლეებს არ გადაეხვიათ სადისკუსიო საკითხიდან.

დისკუსია გამოვიდა ძალიან საინტერესო. მოსწავლეებმა იმსჯელეს თუ როგორ იღვიძებს იოსებში ბნელი ინსტინქტები და როგორ იწყებს ფიქრს ჯერ სხვისი ბინის მისაკუთრებაზე, შემდეგ კი-ავეჯის, კედლის საათების, სურათების გაყიდვაზე. შეგეგი: ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებმა მოახერხეს საკითხის გაგება, გამოყენება, ანალიზი და შეფასება, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების შეძენა და საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება, რაც იყო ჩემი მიზანი.

N 2 ინტერვენცია

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ წერითი კომუნიკაციის, ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარები გაკვეთილზე შევიტანე თავისუფალი ტემა და ,,მოზრდილთა წიგნიერების პრობლემა“ არგუმენტირებულ ესეში მოსწავლეებს უნდა წარმოეჩინათ თავიანთი სუბიექტური მოსაზრებები და კონკრეტული არგუმენტებით ლოგიკურად დაესაბუთებინათ თავიანთი სათქმელი, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ მაღალი სააზროვნო უნარები. მოსწავლეებს გავაცანი ესეს სტრუქტურა და შეფასების კრიტერიუმები, განვუსაზღვრე დრო. დასრულების შემდეგ შევაფასე და მივუთითე დადებით და უაყოფით მხარეებზე.

შედეგი: მოსწავლეებმა აღნიშნული აქტივობით შეძლეს შემოქმედებითი, კრიტიკული და არგუმენტირებული უნარების განვითარება, რაც თავისთავად გულისხმობს მაღალ სააზროვნო უნარებს.

N 3 ინტერვენცია

ჩემი მიზანია ვენის დიაგრამის გამოყენებით მოსწავლეებმა შეძლონ ანალიზის, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავება. აღნიშნული აქტივობა გამოვიყენე ბესარიონ გაბაშვილის ლექსის ,,ტანო ტატანო“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ,,საყურე'' სწავლებისას.

ფლიპჩარტზე გამოვსახე ვენის დიაგრამა. ის ეხმარება მოსწავლეებს, ვიზუალურად აღიქვან ორ საგანს ან ორ მოვლენას შორის არსებული მსგავსება და განსხვავება. მოსწავლეებს ავუხსენი ვენის დიაგრამის გამოყენების წესი, რომ ორი

წრის გადაკვეთაში უნდა დაეწერათ ,,ტანო ტატანოს“ და ,,საყურეს“ მსგავსებათა ჩამონათვალი, ხოლო განსხვავებები-წრეების იმ ნაწილებზე, რომლებიც არ იკვეთება.

შედეგი: მოსწავლეებმა ვენის დიაგრამის გამოყენებით შეძლეს ამ ორი ნაწარმოების შედარება და ისაუბრეს მსგავსება-განსხვავებაზე. აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებს დაეხმარა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში, რაც იყო ჩემი მიზანი.

N4 ინტერვენცია --- ფილმის ნახვა და დისკუსია

გაკვეთილზე მოსწავლეებს ვაჩვენე ვიდეოფილმი, ნაწყვეტი ფილმიდან ,,დათა თუთაშხია“- საირმის ტყის საზოგადოება. ფილმის ჩვენება ეფექტური საშუალებაა საიმისოდ, რათა მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილონ და გაანალიზონ, განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნება.ჩემი მიზანი იყო ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს უფრო ღრმად გაიაზრებინათ საკითხი. იმსჯელათ ფილმიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ესაუბრათ საირმის ტყის საზოგადოებაზე, თუ რა პრობლემა დაინახა დათამ, რასაც ხალხი ვერ ამჩნევდა და გაემართათ დისკუსია.

ფილმის ჩვენებამდე მოსწავლეებს ვუთხარი, რომ ყურადღებით ეყურებინათ და დაკვირვებოდნენ პერსონაჟების საქციელს, რადგან შემდეგ უნდა ემსჯელათ საირმის ტყის საზოგადოების ქმედებაზე. ფილმის ჩვენების დროს ვცდილობდი შემექმნა პოზიტიური სასწავლო გარემო.

ფილმის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა გამართეს დისკუსია. ვახალისებდი მოსწავლეებს, რომ ჩართულიყვნენ დისკუსიაში.

გაკვეთილი გამოვიდა ძალიან საინტერესო. მოსწავლეებმა იმსჯელეს საირმის ტყეში მცხოვრებთა ღირებულებაზე, რომ ხალხის აზროვნების ყველა რეზერვუარი

დაშრეტილი და გამოფიტულია. მათი ტვინიდან სამუდამოდ აღმოფხვრეს თავისუფლების განცდა და დააკარგვინეს ფიქრის უნარი.

შედეგი : ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებმა შეძლეს ემსჯელათ, განეხილათ განევითარებინათ კრიტიკული უნარი.

N 5 ინტერვენცია --- საგანთა ინტეგრირება

საგანთა ინტეგრაცია ხელს უწყობს, რომ მოსწავლეებმა ერთი საგნის მეორესთან, ერთი სასწავლო საგანი მეორესთან დააკავშიროს. ეს ხელს უწყობს ცოდნის გამთლიანებას და შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას-ტრანსფერს. მსგავსი გაკვეთილები იძლევა სხვადასხვა საგანში არსებული ცოდნის სინთეზის საშუალებას. ვინაიდან ზოგადი განათლების სისტემაც მიზნად ისახავს ისეთი მოქალაქის აღზრდას , რომელიც მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებით, შეძლებს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს გაუმკლავდეს.

ინტეგრირებული გაკვეთილი ჩავატარე ქართულ ენასა და ლიტერატურაში თემაზე:

,,დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყვევება და ისტორიაში

ჩემი მიზანი იყო მოსწავლეებს ემსჯელათ ლიტერატურულ ნაწარმაებსა და მე-18 საუკუნის საქართველოში ასახული ისტორიული ფაქტების საერთო ნიშნებზე.

შედეგი: მოსწავლეები დაინტერესდნენ ინტეგრირებული გაკვეთილით. ისაუბრეს პრობლემუს საკითხებზე. შეძლეს დაეკავშირებინათ და პარალელი გაევლოთ დავით გურამისვილის ნაწარმოებსა და მე-18 საუკუნის ისტორიულ ფაქტებზე. მოსწავლეებს გამოუმუშავდათ თანამშრომლობითი, არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი.

5.3. ინტერვენციის შეფასება და შედეგები

არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად გამოყენებული ინტერვენციების შედეგად მოსწავლეებმა შეძლეს ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლა. დისკუსიის მეთოდი დაეხმარათ მოსწავლეებს, რომ განვითარებოდათ მაღალი სააზროვნო უნარები. შეძლებოდათ თავისუფლად ემსჯელათ არსებულ საკითხზე. არგუმენტირებულ ესეზე მუშაობისას მოსწავლეებს გამოუმუშავდებოდათ კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. ვენის დიაგრამის მეტოდის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებდნენ ანალიზის, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებას. ფილმის ჩვენების შემდეგ მოსწავლეებმა შეძლეს ემსჯელათ ფილმიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე და გამოკვეთატ პრობლემა. იმისთავის რომ მოსწავლეებს შეძლებოდათ საგანთა ინტეგრაცია და შენილი ცოდნის გამთლიანება, გამოვიყენე ინტეგრირებული გაკვეთილი.

ვფირობ ჩემ მიერ განხორციელებულიინტერვენციების შედეგად მოსწავლეებმა მოახერხეს მაალი სააზროვნო უნარების განვითარება.

თავი VI რეკომენდაციები და კვლევის შედეგები

6.1. რეკომენდაციები

რეკომენდაცია თანამშრომლებისთვის

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების და ინტერვენციების შეფასების გათვალისწინებით თანამშრომლებს მივეცი რეკომენდაციები.

- მოსწავლეებს მიეცით სწორი განმავითარებელი შეფასება და ეფექტური უკუკავშირი, რადგან მათ ავუმაღლოთ მოტივაცია და გავუღვივოთ საგნისადმი ინტერესი;
- ეცადეთ მოსწავლეებს ინფორმცია მიაწოდოთ მარტივიდან რთულისაკენ;
- მოსწავლეებს არ ჰქონდეთ შეცდომების დაშვების შიში და მიეცით მათ საშუალება, რომ თავისუფლად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები;
- კოლეგებთან ერთად ინტენსიურად დაგეგმეთ გაკვეთილები;
- გაკვეთილის ჩატარებისას გამოიყენეთ მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები. მაგალითად... ფილმის ჩვენება, ვენის დიაგრამა, დისკუსია;
- მეტი სიხშირით დაგეგმეთ და განახორციელეთ ინოვაციური მეთოდებით ჩატარებული გაკვეთილი;

რეკომენდაცია მოსწავლეებისთვის

- ტექსტის წაკითხვის დროს ეცადეთ გამოყოთ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია;
- იკითხეთ ბევრი კლასგარეშე ლიტერატურა; გაგება-გააზრება
- უყურეთ ფილმებს;
- გამართეთ დისკუსია;
- პარალელი გაავლეტ ნაწარმოებებს, პერსონაჟებს შორის;
- ეცადეთ წაკითხული გაიაზროთ და გააანალიზოთ სიღრმისეულად;
- კითხვის დროს გამოიყენეთ სხვადასხვა მეთოდი: მარკირების მეთოდი, ჩანაწერთა დღიური;

6.2.კვლევის შედეგები

კვლევის დაწყების წინ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში არ იყვნენ აქტიურად ჩართულნი. ჰქონდათ ძალიან დაბალი მოტივაცია. უმეტეს ნაწილს უჭირდა ტექსტის გაგება-გააზრება და არგუმენტირებული მსჯელობა.



ინტერვენციების ჩატარების შემდეგ მივაღწიე სასურველ შედეგს. მოსწავლეთა 85 % აქტიურად ჩაერთო საგაკვეთილო პროცესში, გაეზარდათ მოტივაცია, ჩამოუყალიბდათ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.



VII თავი დასკვნა

ქართული ენის პედაგოგმა განვახორციელე პრაქტიკული კვლევა თემაზე: ,,მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა მე-9 კლასში“. კვლევაში მონაწილეობა 15 პედაგოგი, 5 მშობელი და 5 მოსწავლე. კვლევის მიზანი იყო ამემაღლებინა მე-9 კლასში მაღალი სააზროვნო უნარები. სწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა ინტერვენციებმა, კოლეგების თანადგომამ, მოსწავლეთათვის ეფექტურმა უკუკავშირმა ზეპირი თუ წერილობითი ფორმით გამოიღო შედეგი. სწავლა-სწავლების პროცესში მაქსიმალურად იქნა მიღწეული და აღმოვფხვერი ის პრობლემები, როგორიცაა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების დეფიციტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-9 კლასში.ინტერვენციების შეფასების, შედეგებისა და შემდგომი დაკვირვებების საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება და მისი ნაწილობრივ აღმოფხვრა. კვლევის

პროცესი იყო აქტიური და საინტერესო , ორიენტირებული თანამშრომლობითი უნარების განვითარებაზე, როგორც კოლეგების, ისე მოსწავლეების მხრიდან.

ბიბლიოგრაფია

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2. „სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
3. „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო თბილისი 2007

4. სწავლება და შეფასება -- ავტ. რ. ტყემალაძე, ნ.დალაქიშვილი, ქ. თოფაძე გამომცემლობა- მასაწვლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011წელი.

5. http://mastsavlebeli.ge/?p=2237 -- თეო ჭყოიძე „აზროვნება საკთარი აზროვნების შესახებ“ 11 ოქტომბერი, 2013 წელი.

6. http://mastsavlebeli.ge/?p=1934 -- დავით ბოლქვაძე "XXI -ე საუკუნის უნარები“

7. http://mastsavlebeli.ge/?p=2216 სოციალურ-კულტურული თეორია და პედაგოგიკა

8. http://cdi.org.ge/uploads/pages/da-vaswavlot-kritikuli-azrovneba-51.pdf- ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება

დანართი 1.

კითხვარი მოსწავლეებისთვის

ძვირფასო მოსწავლეებო,

წინამდებარე კითხვარის მიზანია დავადგინო ფლობთ თუ არა მაღალ სააზროვნო უნარებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მიღებული ინფორმაცია, დამეხმარება ავამაღლო თქვენში ეს უნარები, რომ არ გაგიჭირდეთ ისეთი სავარჯიშოების შერულება, როგორიც არის ტექსტის რედაქტირება, დისკუსია, არგუმენტირებული ესე და ა.შ. კითხვარი ანონიმურია და გთხოვთ გულწრფელად უპასუხოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას გაწეული თანამშრომლობისთვის!

1.რა ტიპის დავალებების შესრულება გიადვილდებათ?

ა. ტესტის რედაქტირება

ბ. ტექსტის შინაარსის წერა

გ.ესეს წერა

2.ახერხებთ თუ არა დამოუკიდებლად დავალების შესრულებას?

ა. ხშირად

ბ. იშვიათად

გ. არასოდეს

3. .რამდენად ხშირად კითხულობთ კლასგარეშე ლიტერეატურას?

ა. ხშირად

ბ. იშვიათად

გ. არასოდეს

4.დროს უთმობთ სახლში საშინაო დავალების შესრულბას?

ა. 1 საათი

ბ. 1 საათზე ნაკლები

გ. 1 საათზე მეტი ღია

კითხვები.

5. როგორ ფიქრობთ რა განაპირობებს თქვენს წარმატება- წარუმატებლობას ქართულ ენასა და ლიტერატურაში?

6. როგორი ტიპის აქტივობების შესრულება მოგწონთ?

7. რა შეიძლება იყო თქვენი დაბალი მოტივაციის მიზეზი?

8. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იყოს მიზეზე იმისა, რომ სათანდოდ ვერ იყენებთ მაღალ სააზროვნო უნარებს?

დანართი 2

კითხვარი მშობლებისთვის

ძვირფასო მშობლებო,

წინამდებარე კითხვარი , დამეხმარება დავადგინო იმაში, თუ რამდენად ფლობენ თქვენი შვილები მაღალ სააზროვნო უნარებს. მიღებული მონაცემები ,დამეხმარება ავამაღლო მათში ეს უნარები ,რათა არ გაუჭირდეთ მათ ისეთი სავარჯიშოების შესრულება, როგორიც არის არგუმენტირებული ესე, მხატვრული ტექსტის ანალიზი და ა ა.შ. სწავლა-სწავლების პროცესი მათთვის გავხადო ხალისიანი და ეფექტური. კითხვარი ანონიმურია და გთხოვთ გულწრფელად უპასუხოთ. წინასწარ გიხდით მადლობას გაწეული თანამშრომლობისთვის!

1.ეხმარებით თუ არა თქვენს შვილებს დავალების შესრულებისას? ა. ხშირად

ბ. იშვიათად

გ. არასოდეს

2.რამდენად ხშირად კითხულობს თქვენი შვილი კლასგარეშე ლიტერეტურას?

ა. ხშირად

ბ. იშვიათად

გ. არასოდეს

3. როგორი ტიპის დავლებების შესრულება უფრო უადვილდება? ა. ესეს წერა

ბ. ტექსტის რედაქტირება

გ. ტექსტის მოკლე შინაარსის წერა

4. რამდენად ხშირად ამოწმებთ თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებებს? ა. ხშირად

ბ. იშვიათად

გ. არასოდეს

5. როგორ ფიქრობთ, რა უშლის თქვენს შვილს ხელს სწავლა-სწავლების პროცესში?

6. რა როლს ასრულებთ იმაში, რომ თქვენს შვილს ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება?

7. რას ურჩევდით პედაგოგებს იმისათვის რომ , თქვენ შვილს გაეზარდოს მოტივაცია კონკრეტული საგნისადმი?

8. როგორ ფიქრობთ, რა განაპიროებებს თქვენი შვილის წარმატებას სასწავლო პროცესში?

დანართი 3.

კითხვარი მასწავლებლებისთვის

ძვირფასო კოლეგებო,

წინამდებარე კითხვარის მიზანია რომ მივიღო ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ იყენებს მოსწავლეებიმაღალ სააზროვნო უნარებს თქვენ საგნებში. აწყდებიტ თუ არა თქვნეც იმავე პრობლემას მე-9 კლასში.კითხვარი ანონიმურია და გთხოვს გულწრფელად უპასუხოთ. წინასწარ გიხდით მადლობას გულწრფელი თანამშრომლობისათის!

1.ფლობენ თუ არა მოსწავლეები მაღალ სააზროვნო უნარებს თქვნს საგნებში? ა. დიახ

ბ. არა

გ.ნაწილობრივ

2.რთავთ თუ არა მოსწავლეებს სკოლის გარეშე აქტივობებში?

ა. ხშირად

ბ.არც ისე ხშირად

გ.იშვიათად

3.რამდენად ხშირად იყენებთ მაღალ სააზროვნო უნარებზე ორიენტირებულ აქტივობებს?

ა. ხშირად

ბ.იშვიათად

გ. არასოდეს

4.რამდენად ხშირად მიმართავთ კოლეგებს რჩევითვის გაკვეთილის დაგეგმვისას ? ა. ხშირად

ბ.იშვიათად

გ.არასოდეს

1. რა ტიპის აქტივობებს იყენებთ კლასში მაღალი საზროვნო უნარების განსავითარებალდ?
2. იყენებთ თუ არა კოლეგების რჩევებს გავეთილის დაგეგმვის დროს?
3. გეგმავთ თუ არა გკვეთილბს ესგ-ს მიხედვით?
4. ითვალისწინებთ თუ არა მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს გაკვეთილის დაგეგმვის დროს?

დანართი 4. ინტერვიუ დირექტორთან

1. იცნობენ თუ არა თქვენი სკოლის პედაგოეგები თანამედროვე მოთხოვნებს?
2. რა ღცვას მომცემდით იმისატის რომ, მე-9 კლასში ავამარლო მაღალი სააზროვნო უნარები?
3. რა მექანიზმები არსებობს სკოლაში , რომლითაც პედაგოგები მოახერხებენ კვალიფიკაციის ამაღლებას?
4. მონაწილეობს თუ არა თქვენი სკოლის პედაგოგები განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და კონფერენციებში?
5. მონაწილოებენ თუ არა თქვენი სკოლის მოსწალეები და მასწავლებლები კლასგარეშე აქტივობებში?
6. რა განაპირობებს თვქნი სკოლის წარმატება-წარუმატებლობას?

რეფლექსია

სორმონის საჯარო სკოლაში ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „ მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა საბაზო საფეხურზე, მე-9 კლასში“.

ჩემი მიზანი იყო დავკვირვებოდი და დამედგინა თუ რა იყო მიზეზები და რატომ ვერ გადიოდნენ მოსწავლეები მაღალ სააზროვნო უნარებზე. გამეკეთებინა აღნიშნული პრობლემის ანალიზი და დამესახა გაუმჯობესების გზები.

კვლევა მიმდინარეობდა 2018-2019 სასწავლოწელს, გრძელდებოდა 9 თვის მანძილზე. დასრულდა ივნისის თვეში.

კვლევის მანძილზე მოვახდინე მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ანონიმური ანკეტირება . ვაკვირდებოდი მოსწავლეთა მუშაობას და განვახორციელეთ საჭირო ინტერვენციები.

გადავწყვიტე კოლეგებთან ჩამეტარებინა ინდივიდუალურად რეფლექსია. კვლევის პერიოდში მკვლევარი პედაგოგები სისტემატურად ვხვდებოდი კოლეგებს და ადმინისტრაციას, რათა მიმეღო უკუკავშირი, რომელიც დამეხმარებოდა კვლევის წარმართვაში, კოლეგებთან შეხვედრა შედგა 11 ივნისს სამამსწავლებლოში. მასალები წარვადგინე ელექტრონული პრეზენტაციის სახით, პრობლემა აქტუალური იყო და თემა ძალზედ საინტერესო, რადგან მსგავსი პრობლემა, როგორც მოვისმინე არსებობდა ჩენი კოლეგების პრაქტიკაშიც. კოლეგების უკუკავშირი იყო კონსტრუქციული და საქმიანი, მივიღეთ საინტერესო რჩევები და რეკომენდაციები. მათ მოეწონათ ჩემი კვლევა და გამოთქვეს სურვილი , რომ ჩემივე თანხმობით გადამეცა მათთის და პრაქტიკაში გამოეყენებინათ კოკრეტული ინსტრუმენტები.

ჩემთვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი იყო კოლეგების უკუკავშირი, რომელიც კიდევ უფრო მეტად დამეხმარა გამეზრებინა, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის მნიშვნელობა.

თუმცა კვლევის პროცესში იყო გარკვეული ხარვეზები და პრობლემები, რადგან მოსწავლებს ჰქონდათ ნაკლები მზაობა დამატებითი აქტივობების შესრულებისას.

საბოლოო ჯამში კვლევა აღმოჩნდა წარმატებული, რადგან გაიზარდა პროცენტული მაჩვენებელი მოსწავლეებისა რომლებიც უკვე ფლობენ მაღალ საზროვნო უნარებს.

მარიეტა შალამბერიძე

11.06.2019წ.

კვლევისელ.მისამართი

http://www.etaloni.ge/files_inner/239%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%20%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9A%E1%

83%90%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf